

ნიანგი

თბილისი.
გამომცემლობა
„კომუნისტური“

საბჭოთაო
საბჭოთაო

„...აღდგენილია და მუშაობენ სატრაქტორო ქარხნები სტალინგრადსა და ხარკოვში, აგებულია ალტაისა და ვლადიმირის ახალი სატრაქტორო ქარხნები, მთავრდება ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობა, აღდგენილია ტრაქტორების წარმოება ჩელიაბინსკის ქარხანაში...“
საქ. კ. პ. (ბ) „ცენტრალური“ კომიტეტის პლენუმის დადგენილებით.



ნახ. ი. ბუჯაშვილისა

ახალი შეტევის წინ თესვის ფრონტზე

— გული გაიმაგრე, მეგობარო, ახალი შეგებოდა მოდისი..

გაზაფხულდა... მზე კაშკაშებს
და ისეთი მინდია,
რომ გსურთ—თქვენც სთქვათ: „ბუღბუღების
ძირას

თავს იწონებს ნაწი ია“!

მაგრამ, აი, შემოგესმათ
იმნაირი „ტია-ტია“,
რომ ნაწ იის ყოყოყობა
დაგავიწყდათ უცებ, დია,

და ამ „ტიას“ ყური უგდეთ,
რომ გაგეგათ—რა შანგია,
ვინა გალობს? ბუღბუღების
რანაირი ანსამბლია?

ყველა მათგანს—ვინაობა
თუმც ნისკარტზე აწერია,—
მაგრამ მაინც მეც გაგაცნობთ
მომღერალთა ამ სერიას.

ახლა ბუღბუღლის ბუმბულით
შემკულა მოხერხებულად
და „სკრიპს ჰოვარდის“ გაზეთში
ამგვარად ამღერებულა:

—„ყარ-რა-ულ! ჩინეთის მხრიდან
საფრთხე მოგველის ავიო;
ამას ვგრძობთ ქირომანტულად,
არ მოკვდეს ჩემი თავიო

და გამცნობთ მზავს უტყუარს,
მკაცრსა და უსაშინელესს:
საბჭოთა მხარე რაკეტებს
აწვდის კომუნისტ ჩინელებს.

მაშ რა გამოდის აქედან?
ვკითხავ იანკი-ძიასა
და მევე ვასკენი: უშველეთ
ჩინეთის რეაქციას“.

უნისკარტო სიცრუე

ამერიკული რეაქციონერი ჟურნალისტი სტიუარტ ოლსოპი ავრცელებს პროვოკაციულ მონაჭორს, თითქოს ყარსისა და არტანის ოლქებში შეტრილიყოს 40 შვიარალეული „საბჭოთა სომეხი დივერსიული აქტების მოსაწყობად“.



აი, ბუღბუღს—ნომერ პირველს
წარმოგიდგინოთ მე აქ განგებ.
ეს ფრთხანა—ოდითგანვე
დოლარებზე ჰყიდის შანგებს:

განლავთ სტიუარტ ოლსოპი—
ხერხტის ტრესტებში ნარჩევი
და თითებიდან ნაწოვარ
კორების წრიბინს ნარჩევი.

ჩვეულებრივი ბუღბუღლის
ტომიდან მით განსხვავდება,
რომ მისი ფრაკის ჯიბეში—
თუ ოქრო ბლომად ხვავდება,
დამქირავებლის საამოდ
ყრანტალით წამოჩნავლდება.

ყნოსვა აქვს წუწკი გოშისი
და ხუნს, აიღებს თუ არა,
რეაქციონერთ დაკვეთით
წკმუტუნობს ეს მატყუარა:
კორებს ახეთქებს—საწლაროს,
ფაქტებს რომ ვერა პოულობს,—

და რაც მეტს უღრენს საბჭოეთს,
მით მეტ ხალაფავს შოულობს!

ანკარას გადმოფრენილა,
ამ გაზაფხულის ფრთხანად
და იქიდანაც ხერხტელებს
აი, რა წაუმგოსანა:

— შარიქა, ყველა მისტერმა
უშველდს თავს და ტანსაო,—
აშკარა საფრთხე მოეღის
ყარსსა და არტანსაო,

რადგან დღეს, დილაადრიან
სიზმარი ვნახე ცუდია:
გითომ ორასმა სომეხმა
ამ ოლქებს შემოაუტია!

საბჭოეთს მივწვდი გუმანით,
როდესაც გამეღვიძაო,—
შარიქა, დოლარებთა
ავსხეთ თურქი ბიძაო,
რომ... „კომუნისმის საფრთხისგან“
დავისხნათ დედამიწაო.

ხმარტის ბუღბუღის გადმოფრენილი



ნომერ მეორე ბუღბუღლის
ფერიც ჰგავს პირველისასა,
ოდონდ ის ჰქენკავს საკვებად
„სკრიპს ჰოვარდის“ ქისახა;

ესიც იმავე ფირფიტის
შანგებით გალობს მარადა,
ეს ბანკირების ლაქია—
ნოუტონია გვარადა.

ნიშანდობლივი თვისება
ამ ფრთხანის მხოლოდ ისა აქვს,

„სკრიპს ჰოვარდის“ ტრესტის გაზეთების ბიერ მოსყიდული ანტისაბჭოთა მჯღაბნელი ნოუტონი ავრცელებს სასაცილო კორებს, თითქოს საბჭოთა კავშირი მფრინავი ყუმბარებით აიარაღებდეს რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლ ჩინელ კომუნისტებს.

რომ არცხვენს შავი ხელობით
თავის მოგვარეს ისააკს.

იაფად ჰყიდის ბირჟაზე
ნამუსს ეს „უურნალისტია“,—
ფასი ამ ხენსაციების
მხოლოდ გროში და ბისტია,

მაგრამ ის რეაქციისთვის
მაინც საჭირო კაცია,
რადგან საბჭოთა კავშირზე
სთხზავს და სთხზავს პროვოკაციას.

„ხმაჟარიბად მსტვინავნი“...

ინგლის-ამერიკის ოკუპაციის ზონაში აღმოაჩინეს ფაშისტური შეთქმულების ორგანიზაცია ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, რომელნიც ესტრადანე მუშაობდნენ.



ეს ბუღბუღი სულ სხვაგვარი
შანგის მქონე ფრთხანაია:
მას ჰიტლერის სვასტიკა აქვს
და გებელსის მგოსანია.

ეს ნაცისტო გენერალი
ჩინ-ჯინჯილებს, ბუზმენტ-ზონარს
ატარებდა, როცა თავი
შეაფარა ისეთ ზონას,

სადაც, თურმე გასართობად
საესტრადო რებერტუარს
ადგენდნენ და ასეთებზე
არ ჰქადრებდნენ არვის უარს.

შოდა, აი, მან „ნომრები“
შეაწავა გულდაგულ და


დღისით, მზისით, ყველას თვალწინ
ფაშისტისთვის აბუღბუღდა.

ტაშიც იყო, ქებაც იყო,
გასამრჯელოც, ჯილდოც, ნდობაც;
რა აღმოჩნდა? თურმე იგი
ამწადებდა სულ სხვა ნობათს.

ნაცისტური გერმანიის
აღდგენაზე ფიქრით სავსეს
„ბუღბუღობა“ რომ გაუგეს—
გალიაში მოათავსეს.

ამ უიღბლო პირობებში
წამოესწრო გაზაფხული...
უკაცრავად, ჯინტლმენებო,
ველარ გალობს ეს ბუღბუღი.

ბანკირთა საკენკს უგალობს



კიოსუე იოსიდა
ბუღბუღლია ერთი ციდა,—
იაპონელ პროვოკატორებს
მოეგვინა რისხვად ციდან,
რებერტუარს ესეც იღებს
რეაქციას ნოტებიდან
და ამნაირ შანგს ღალადებს:

იაპონის რეაქციის წარმომადგენელმა იოსიდამ გამოაცხადა: დემოკრატებს უკანონო ელემენტები არიან და ისინი უნდა მოეპოოთ. მისი წაქეზებით რეაქციონერები არბევენ პროვოკატორებს.

— „უკანონო ელემენტად
მე ვაცხადებ დემოკრატებს,
სადაც ნახოთ პროფორგანო
დაარბიეთ საგანგებოდ,
რომ ისეთი წესი შევქმნათ,
რაც ბანკირებს მოეწონათ!“

ამ ბუღბუღთა ასორტიმენტს
კაცი არც თუ ცოტას ნახავს,
თუნდაც ფრანკოს სამფლობელოს,
ან სხვა ზღრუბლს თუ გადალახავს,—
კიდევ სხვებსაც, ვისაც ხალხთა
მშვიდობა სძულს მთელი არსით
და ჯალათის გულით დააქვს
რეაქციის შინაარსი,

მაგრამ მათი გაზაფხული
ვერ დადგება მეტად ვერა,—
სულ ამაოდ დამაზვარალა
თაღლითი და გაიძვრა,
ამ ყაიდის ფრთხანთ დასი,
სულ ამაოდ აუღრუტულდა,—
მათი გულის გასახეთქად
მხოლოდ ჩვენში გაზაფხულდა.

ზარსადანი



— ხედავ, როგორ ჩაგრავე ჩვენი ქეთევანი თავის მეუღლეს.
— სახლში?
— სახლში კი არა, მინდვრად: ხვნის გეგმების შესრულებაში ქმარს სამჯერ გადააჭარბა.

მოუსვენარი ხალხი

ქვეყანა რომ შემოიაროთ, ვერსად ნახავთ ფოთელებისთანა მოუსვენარ ხალხს. ბრძოლა ჭაობების ამომშრობისათვის, გეგმების შესრულება, ბრიგადების შეჯიბრება, ნაჭაობარის ათვისება, ახალი გზების გაყვანა, საწრეტი არხები, ნაჭაობარზე ხალხის დასახლება!—აი რა ისმის ამ ქალაქში მთელი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში.

საქმე ის არის, რომ ახალ ფოთელებს არ მოეწონათ თავიანთი ძველი ქალაქი. ბრძოლა გამოუცხადეს ყველაფერს, რითაც კი უხსოვარი დროიდან განთქმული იყო ეს უძველესი საბოლახო ქალაქი. ბრძოლა გამოუცხადეს—ჭაობსა და ციებას, ბაყაყსა და უმუხურს, სასტიკად შეებრძოლნენ კოლო ანოფელესს, ციების უხვად გამავრცელებელ მწერს. როცა ანოფელესთან ბრძოლა მწვავე ხასიათი მიიღო, ფოთელებმა იტალიიდან მილიონობით ჩამოიყვანეს თევზი გამბუზია, მოაშენეს ყველგან—მდინარეებში, ღელეებსა და ნოყობში. ამ თევზებმა მოსპეს ანოფელესის მიერ წყლის გუბებში უხვად ჩაყრილი კვერცხები. ამრიგად, ახალმა ფოთელებმა დაამარცხეს ციება.

მაინც ვერ მოისვენეს ფოთელებმა. წამოაყენეს ლოზუნგი—ფოთი ბალქალაქად უნდა გადავაქციოთო. ყველგან აჰყავს თხმელები, ეკალ-ბარდები, ჩირგვები. მათ ნაცვლად დარგეს ევკალიპტები, მაგნოლიები, ოლეანდრები, ფიჭვები. ეზოში ყველას ლიმონი და მანდარინი დაარგვენიეს.

ფოთელები არც ამას დასჯერდნენ,—ძველი ხიდი არ გვინდაო,—ახალი ააშენეს; ქალაქს სააღლუმო დიდი მოედანი უნდაო,—ესეც მორთეს ქალაქის ცენტრში; ძველი სასტუმრო დაიწუნეს,—ახალი წამოკიშეს; თეატრი არა გვაქვსო,—ესეც ააშენეს; ჩვენ რითა ვართ თბილისელებზე ნაკლები, დაბალი შენობები ქალაქს გვიუწიოებსო,—მოსდგნენ და მრავალსართულიანი შენობებით შეჭკრეს ქალაქის უბნები და მთავარ ქუჩას რუსთაველის პროსპექტი დაარქვეს. ერთი სიტყვით, ყველაფერში თბილისის ბაძავენ. უფრო მეტი,—რიონმა სული შეგვიწუხა წვიმებისა და წყალდიდობის დროს, ქალაქი დაგვიჭაობაო,—აიღეს და ეს უძველესი მდინარე შორს გადაისროლეს, ნაბადაში უკრეს თავი და ქალაქიდან მეშვიდე კილომეტრზე შეუერთეს ზღვას.

ერთი სიტყვით, რაც კი დაიჩემეს—ყველაფერში თავიანთი ნათქვამი გაიყვანეს. სულ ბოლოს ერთი უცნაური საქმე გააკეთეს; ქალაქის დასავლეთით ზღვისპირად რვა ჰექტარზე უკანასკნელი ჭაობი იყო დარჩენილი. ჩვენ გვეგონა, მის კოლხიდმშენი ინახავდა ძველი კოლხიდის ნიმუშისათვის. მართლაც, ვინ იცის, როდის დასჭირდებოდათ ეს ფართობი პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს, კინომუშაკებს, ან სხვა მოგზაურებს იმის წარმოსადგენად, თუ რატიგად დაქაობებული იყო ძველი კოლხიდა.

მაგრამ ახალმა ფოთელებმა არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ზემოდასახელებულ პირთა მომავალ მუხებს. არც კი შეეკითხნენ კოლხიდმშენს, და ერთ მშვენიერ დღეს ქულზე კაცი გამოვიდა, მიესივნენ ამ ჭაობს, ზღვის ხავერდოვანი ქვიშით ამოავსეს და ზედ ჰიპოდრომი და სტადიონი მოაწყვეს. ესეც ახალი ამბავი—ჰიპოდრომი და სტადიონი ერთად, ერთ მოედანზე, ზღვის პირად, ისიც ნაჭაობარზე!

ეს კიდევ არაფერი. ამას წინათ ფოთელებმა მთელი საქართველოს რაიონების კოლმეურნე ცხენოსანთა გუნდები მოიწვიეს და 40 ათასი მაყურებლის დასწრებით გამართეს ჯირითი და მარულა. ჰმ, მოფიქრება უნდა თუ არა, ნაჭაობარზე რომ ერთიმეორეს შეაჯიბრო—აჭარელი და აფხაზი, მეგრელი და იმერელი, კახელი ცხენოსნებიც მოიწვიო და შეჯიბრების წინ პირველად აცეკვო ამ ნაჭაობარზე!

ქეშმარიტად, რომ უცნაური ამბები ხდება ფოთში! თუ არ დამიჯერებთ, ჩაბრძანდით თვითონ ნახეთ, რა დღეს აყენებენ ძველ ფოთს ახალი ფოთელები.

პოლ გაიფი

„მოთათბიკა“ მგაბთვალი

ზოგ-ზოგ მმართველს დრო არა აქვს, დიდს ცვლილებებს აპირებს, კარდაკეტილ კაბინეტში ბოლო არ აქვს თათბირებს!..

დაღონებულ თანამშრომლებს ჩამოსტირით თავბირი, შუადღიდან საღამომდის არ თავდება თათბირი..

ზის მმართველი, სიტყვას ამბობს

დინჯად, სულ არ იჩქარის, მოადგილევც, ბუზხალტერიც, ბრიგადირიც იქ არის!

ცვლის უფროსიც, ინჟინერიც

თათბირობენ ყველანი, იწერება გრძელი ოქმი, იხარჯება მელანი!

უნაყოფო სჯას და ბაასს აღარა აქვს ნაპირი, გვემას რომ ვერ ასრულებენ, ამახუა თათბირი.

აღარ უჩანს სიტყვებს ბოლო, უნაყოფო ლალადისს, რომ დაგჭირდეს, არვინ არი ხელმომწერი ქალაქდის.

თითქმის ყველა თათბირზეა, ცხვირწინ უდევთ წიხლებდა, გვემა მაინც არ სრულდება, ჩამორჩენა გრძელდება.

სხედან, აზრად არც კი მოსდით, მძიმე ფიქრში წასულვებს: როცა ყველა თათბირზეა, გვემას ვინ შეასრულებს?!

მაგრამ მმართველს ვინ შებედავს, სიტყვას ჰვადრებს რომელი?— სულ თვალწარბში უტყერს კრძალვით ყველა თანამშრომელი!

საღამო ხანს გაისტუმრებს, როგორც ნაქიფარებს, მაგრამ ღამეც არ ასვენებს, სათათბიროდ იბარებს.

შუალამეც ტრესტში უსწრებთ, ჩამოსტირით თავბირი, დილისათვის ინიშნება ხელახალი თათბირი!

და ამდენი ლაპარაკი სულ ტყუილად ცრუვდება, როცა ყველა თათბირზეა გვემა რით შესრულდება?

— 0 —
განგებ არ ვთქვი ეს სად ხდება, ტრესტია თუ არტელი, იქნებ თქვენც გყავთ ამისთანა მოთათბირე მმართველი!

თუ გყავთ, ჰკითხეთ: როდის ხსნიან, წასვლას როდის აპირებს, ბოლო როდის მოელდება ამოდენა თათბირებს?!

...ჩვენს ადგილობრივ მრეწველობაში მოყვებოდა არ არის (ჩვენის ინდუსტრიის ტრანსპორტის, ცემენტის, ნალ-დურის-ნის წარმოება..."

აშ. ბ. ა. ანდროპოვის მოხატვისაგან ს.კ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე



— შისწერე, ნაყოფა, ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს, რომ, შიში არ იყოს, ჩვენც გვსაუბრობო პირველი მოსოფენილების საგნები..

სიხვედრე სკოლა

...სიხვედრის და რაგის ფორმით მუშაობს უნდა აგრეთვე იმყოფებოდნენ... ჩვენი ცენტრში ანა მეთხე ფაქტორად მიმავრებული არ არიან გარკვეული კლ-მეფრეობები, არამედ ისევე დიდნი სადაც მოხდება და ისეთ პირობებში არიან ჩაყვებული, რომათვის მასწავს არ აგებენ..."

აშ. ბ. ა. ანდროპოვის მოხატვისაგან ს.კ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე



1. — კომმუნისტებში "მივდივარ," წველების მეფრეობას უნდა მივაქციო ურთი-სოქვა აგრონომია და...



2. და ფინელების მეფრეობისთვის ურთულე-ბისშიქცევის შეუღლა.



— გავფინდეთ, ურთულა, თორმეტიკატორსტე-ბი ქვებს და ვიწინენ. — რას გვეჩიან, ჩვენ რომ ვიპყვებობს ძენის ღრის მიწას ვჩიქითი, ეგენი თვანი მოხრულად იწე-ჩენ და უბატონობსანა როგორ ვაგვიცემენ.

ორი დაბრება

ახალი „თხა ვენახი შეჭაბა“

...მეფრეობებულ ჩაივალის, რომ ამ უკანასკნელ წლებში მეფრეოდ შეჩიქორდა თუთის ხის ნარგავები, დაშვებულ იქნა თუთის ხის გაკაფვა, პირუტყვისაგან წაბლენა და გახზობა..."

ს.კ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან



1. შილი ვნახით თუთა, რამ შეჭაბა თუ-თა, მიველ ვნახე თუთა, თხამ შეჭაბა თუთა. 2. შილი ვნახით თხა, რამ შეჭაბა თხა, მიველ ვნახე თხა, ბრიგადირმა კემა თხა...




3. შილი ვნახით ბრიგადირი, რამ შეჭაბა ბრიგადირი... ბრიგადირმა თხა და თუთა შეჭაბა.



1. ცენტრის აგრონომები „ოფლის ღვჩიან“.



2. ამის შედეგად კომმუნისტების აგრო-ნომიაც ოფლის ღვჩიან უბლებ.



— ჩვენმა თავმჯდომარემ ბრიგადირი და ფერმის გამგე დააჯილდოვა. ბრიგადირი და-ბირდა, რომ მეტიკატრე რეაის ზოო სიმინდს მოიყვანს. — ფერმის გამგე? — ფერმის გამგე ვოტებს დაბარდა.



- ჩვენი ლექტორი ანეპოდისტე გაუჭურდავთ.
- საწყალი ანეპოდისტე!
- ყველა მისი ხელნაწერი მოუპარავთ და მათ შორის საკანდიდატო დისერტაციაც.
- საწყალი ქურდები!

სოხუმელი „ალქიმიკოსები“

სოხუმის რკინიგზის „ორსის“ ღვინის საწყობის ყოფილმა გამგემ აკაკი ჭავჭავანიძემ შესძლო უბრალო წყლისაგან მიეღო ესოდენ სასარგებლო ნივთიერება—ტონობით პირველი ხარისხის სუფრის ღვინო, რომელიც „ორსის“ წერტილებში წარმატებით იყიდებოდა. ეს ღვინო თავისი ქიმიური თვისებებით იმით განსხვავდებოდა ჩვეულებრივ ნატურალური ყურძნის ღვინისაგან, რომ ჭავჭავანიძის წესით მიღებული ღვინო ნაკლებ მათრობელი და მეტად ასატანი გახლდათ.

იმავე „ალქიმიკოსმა“ დიდი ცდები ჩაატარა უბრალო ღვინისაგან პორტვინის მიღების საქმეში, ეს „გამოგონება“ დიდი წარმატებით დაგვირგვინდა: უბრალო ღვინის ბოთლებზე პორტვინის ეტიკეტაკეთებული ღვინო კარგ ფასად იყიდებოდა.

ასეთი გამოგონებების შედეგად მრავალი ზთასი მანეთი ვადაერიცხათ „ალქიმიკოსების“ ოჯახებს. „ორსის“ წყლის კიოსკების გამყიდველებმა ფართოდ გამოიყენეს „ორსის“ ყოფილი უფროსის ვასილ ჭავჭავანიძის ქიმიური მეთოდი და უბრალო გაზიანი ტკბილი წყლისათვის „ორსის“ სახელწოდების მიცემის შედეგად შესძლეს ჭიჭა წყლის ერთიორად გაყიდვა. ამანაც დიდი ხერი მისცა სოხუმელ „ალქიმიკოსებს“.

მრავალი ცდა ჩაატარა „ორსის“ ყოფილმა მომმარაგებელმა ვალერიან აბულაძემ. მრავალი ფუთი „ორსის“ პროდუქტი კერძო ბაზარს მოუვლინა. ორ წელიწადზე მეტი გავრძელდა „ალქიმიკოსების“ ცდები.

ამ ხნის განმავლობაში მათ მრავალი ათასი მანეთი „მოიგეს“. ეს თანხები მთლიანად მოხმარდა ვ. ჭავჭავანიძის, ვ. აბულაძის, ა. ჭავჭავანიძის და მათ „თანამე-ალქიმიკოსთა“ ყოველდღიურად ყანწების ჯახუნს, დუღუჭზე და დოლ-გარმონზე დროსტარებას.

კომბინაციას კომბინაცია მოსდევდა, ყანწი ყანწს და სიმღერა სიმღერას.

მაგრამ, დახედეთ იღბალს. უცებ შეწყდა მათი სიმღერა. პაუზა გამოწვეული გახლავთ სათანადო ორგანოების მიერ მათი „ცდების“ შემოწმებით.

მ. კალმოსანიძე

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“ ახლახან გამოსცა მიხელსონის ფიზიკა—ნაწილი II. გამომცემლობის მუშაკთა დაუღალავი და ენერგიული მუშაობის შედეგად წიგნში შეცდომების გასწორებას დათმობილი აქვს ჩვიდმეტი გვერდი. მკითხველთა უკეთ მომსახურების მიზნით შეცდომების გასწორების პირველ ხუთ გვერდზე დაბეჭდილია გასული წლის შაისში გამოსული ფიზიკის I ნაწილში დაშვებული შეცდომების გასწორება.

გამომცემლობის ამ „გულისხმიერი“ დამოკიდებულების შედეგად, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ერთი წლის შემდეგ სასწრაფოდ გაასწორონ ფიზიკის I ნაწილში დაშვებული შეცდომები. რა თქმა უნდა, ამისათვის მათ დასჭირდებოდათ ფიზიკის მეორე ნაწილის ყიდვა, მაგრამ ეს ორგვარი სარგებლობა, წიგნსაც შეიძენენ და შეცდომებსაც გაასწორობენ.

მკითხველი რომ გულწკაპულად არ დარჩეს წიგნში დაშვებულ შეცდომების „სიმცირით“, გამომცემლობა ანუგეშებს მათ და შეცდომების გასწორებას შემდეგი სათაურით ბეჭდავს: „შემჩნეული ძირითადი შეცდომების გასწორება“. ასეთი სათაური სრულ გარანტიას აძლევს გამომცემლობას თავი დაიცვას ზოგიერთი „ახირებული“ მკითხველის საყვედურისაგან. ჯერ ერთი, სათაურში ლაპარაკია „შემჩნეულ“ შეცდომების გასწორებაზე და არა საერთოდ ყველა შეცდომის გასწორებაზე, მეორეც, გასწორება ენება „ძირითად“ და არა ყველა შეცდომას.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა საშუალებას იძლევა მკითხველთა ფართო შემოქმედებით მუშაობის გაშლისათვის. მკითხველებს შესაძლებლობა აქვთ თვით ეძიონ გასწორების გარეშე დარჩენილი „შემჩნეველი“ და „არა ძირითადი“ შეცდომები.

ყოველ შემთხვევაში, რომ ღმერთი არავის გაუწყურეს და გამომცემლობას ცილი არ დასწამოს ყველა შეცდომის გასწორებაში, წიგნის ბოლოში დაბეჭდილია ასეთი შენიშვნა „შეცდომათა გასწორებაში არ არის შეტანილი წიგნში არსებული სხვა ბევრი კორექტურული ხასიათის შეცდომები, რომელთა აღმოჩენა კითხვის დროს სიძნელეს არ წარმოადგენს“.

ნახევრად სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების მიხედვით გამომცემლობის დირექტორს დუნდუას განზრახული აქვს უახლოეს სამი წლის განმავლობაში სასწრაფოდ გამოსცეს ფიზიკის I და II ნაწილში დაშვებული შეცდომების გასწორება ორ ტომად. როგორც ამბობენ, პირველ ტომში დაიბეჭდება ყველა „შემჩნეული“ და „ძირითადი“ შეცდომების გასწორება და აგრეთვე შეცდომების გასწორებაში დაშვებული შეცდომების გასწორება.

საკითხავი კითხვა

მეორე კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში („დედა ენა“, გამოცემა მესამე. თბილისი. 1946 წელი)—დაბეჭდილ ნაწარმოებს—„მანქანა-ტრაქტორების სადგური“—დართული აქვს სამი კითხვა, ხოლო წერითი სავარჯიშო მოსწავლეებს ავალებს პასუხი გასცენ მეოთხე კითხვაზე. ამ არარსებული მეოთხე კითხვის გამო მკითხველებს დაებადათ მეხუთე კითხვა, წიგნის ავტორები ხუმრობენ თუ აღნიშნული უცნობი კითხვა მართლა დაიბეჭდება მომავალ წელს?

ნუკრიძე

ორ ტყუილ შუა

ნახ. ღონისა



- მიიღეს შენი პიესა?
- თეატრმა კი, მაგრამ რეპერტკომმა უარი მითხრა. შენ რა ჰქენი?
- რეპერტკომმა მიიღო, მაგრამ თეატრი უარს ამბობს!..



პ. სენაპი

ნ. იძაურს—სანიანგო საქმე დამემართაო, იწერებით და გვაცნობებთ...
ორდერით კოსტუმი მერგებოდა, ჩემი ზომის არ აღმოჩნდა და რომ შთლად არ
დამეკარგა, იძულებითი ასორტიმენტზე დავთანხმდიო.

რით გამოიხატება იძულებითი ასორტიმენტი? ჩემი ზომაა—54, გამგემ კი
პიჯაკი მომცა 52 და შალვარი—46 ზომისა.

ტყურლად ემღურით თქვენი წერტის გამგეს. 54-ს შავიერ 98 მოუცია.
ალბათ, ეს პირველი შემთხვევაა, როცა კოოპმალაზიაში იმაზე მეტი მოუციათ,
ვიღრე გერგებოდათ.

განა კიდევ იტყვიო, რომ მაგ თქვენს მალაზიაში ყველაფერი რიგზე არ
არის?

ბოლნისი

ფრადოსანს—გვაცნობინებთ ვინმე სიტყვისა და სცენის უნივერსალურ
ოსტატ „მ. ი.“-ზე, რომელიც, თურმე, თბილისიდან გიკვეთავთ დარბაზს, ბი-
ლეთების გაყიდვას, მაყურებელთა დასწრების უზრუნველყოფას, კარგ შემოსა-
ვალს და თითქმის წინასწარ აპლოდისმენტებსაც კი.

„ხამაგეროდ გპირდება ლიტერატურულ-საკონცერტო საღამოს გამართვას, რომელშიც
მა“ ტო თვითონ მონაწილეობსო“,—დასძენთ.

ამასთანავე ისიც მხედველობაში მივიღიათ, რომ ამ „მ. ი.“-ს აღნიშნული პროგრამით
285-ჯერ გაუმართავს საღამო-კონცერტი სხვადასხვა სოფლებში. და ბოლოს დას-
ძენთ: „გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი—ნუთუ დასაშვებად მიგაჩნიათ, რომ ერთი
კაცი ერთდღიამდე დროს ამდენი მსახიობ-მომღერლის როლს ასრულებდეს?“

ძალიან საჭოკმანო კითხვაა: თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „კაცი —
კაცს გააჩნია“ და ასეთი უნივერსალური ესტრადის მსახიობი კი არავინ გვეგუ-
ლება—ერთ დასკვნამდე უნდა მივიღეთ: ეგ თქვენი „მ. ი.“ ერთი როლის ასრუ-
ლებას აპირებს—ბოლნისში გულუბრყვილო ხალხის აღმოჩენას და მათს მოტყუე-
ბას.

დაზოგეთ ტაში.

საჩხმარე

ლ. ბ-ძეს

„გალატურთაშიც გვეწვიეთ
და შეხედეთ სამკითხველს,
ორი წიგნი ობლად მოხჩანს,
თაგვებს გააქვთ წიგნზე დელო“.

გვეწერთ და გვეკითხებით: რა ზომები მივიღოთო?

ჩვენი აზრით, გამოსავალი ერთია: გაანთავისუფლეთ სამკითხველოს გამგე
და მის მაგიერ ერთი ყოჩაღი კატა შეიყვანეთ თქვენს სამკითხველოში ვიღრე
შესაფერის გამგეს გამოინახავდეთ.

ხაიში (ზემო-სვანეთი)

კრაზანას: „პირველ იანვარს თბილისიდან გამოგზავნეს დეპეშა, რომლითაც ნ
იანვრისათვის თბილისში მიწვევდნენ. დეპეშა 21 იანვარს მივიღე დამახინჯებული
ტექსტით: ნ იანვრის მაგიერ ნ თებერვალი ეწერა“.

წინდახედული ხალხი ყოფილა თქვენს ფოსტაში. რაკი წესად ჰქონიათ
დეპეშის მხოლოდ... ერთი თვით დაგვიანება — თქვენი ჩამოსვლის რიცხვიც სწო-
რად გადაუწევიათ. რას ერჩით?—აბა ნახეთ ზოგიერთ სხვა ფოსტაში—იქ ამ
სიკეთესაც არ გამოიმეტებდნენ.



— საკვირველი ქალი ყოფილა, ათი წელიწადი
პაემანზე მიიჩქარის და ჯერ ვერ მისულა!..

სამბრედიისათვის

თქმულება რკინიგზის „ორსზე“

„ორსის“ სახელი, დიდება
კურდღელს ვერ აეკიდება!
გამფლანგველების დინება
ნისლივით მოეფინება.

დღეს, რაც კი გულმა ინება,
ხვალ ცალკე გადაიდება.
ამბობენ: ქვასა მგორავსა
ხავსი არ მოეკიდება.

გომის ფოსტას

ძია გომის ფოსტაო,
მიცდენ დღეს და დროსაო!
„ნორჩ ლენინელს“ რომ მაკლებ,
ამან გამოაცაო.

შენთან მოვალ როცაო,
გზას კი დამილოცავო,
მაგრამ ჩემი გაზეთი
მაინც არვინ მომცაო.

კვლავ არ ძალმიძს მოსვლო,
ესწავლობ, არ მაქვს მოცლო!
გამიგე, ის გაზეთი
თუ ვინ ვააცოცაო?

გაგნელი გზიკი

სიყვიის თეატრის წაგო

ნახ. შ. ჩაჩანიძისა



— ასეთ დაბალ ხარისხის კართოფილს ასე ძვი-
რად ჰყიდით—სინდისი აღარა გაქვთ?
— აღარა გვაქვს, დედი, სულ გავყიდეთ.

„კამპანიის კაცი“

ზოგიერთი კოლმეურნეობა და მტს-ი ჩამორჩა ტრაქტორებისა და საგაზაფხულო ხენა-თესვის გეგმების შესრულებაში.

ნახ. ღონისა

97-60
ეროვნული
ბიბლიოთეკა



— რაო? საგაზაფხულო ხენა-თესვა დაიწყო და მინდვრად კამპანია გაჩაღეთ? — კამპანია ჩვენც გავაჩაღეთ, ჩემო კარგო!

საკრედიტო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиსი. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ღონის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 3/IV. თ. ბ. ზერაბ სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ღონის ქ. № 28. გამოც. № 33 შვკ. № 470. ტირ. 7500 ჟი 00287